საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №1/2018
2018 წლის 5 იანვარი

ქ. თბილისი

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

დანართი

პროგრამული კოდი	**ხარჯთაღრიცხვა**	**თანხა (ლარი)**
სულ	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	39,136,784
	ხარჯები	38,211,784
	შრომის ანაზღაურება	16,917,163
	საქონელი და მომსახურება	8,928,771
	სხვა ხარჯები	12,365,850
	არაფინანსური აქტივების ზრდა	925,000
06 02 01	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	28,272,634
	ხარჯები	27,347,634
	შრომის ანაზღაურება	16,747,663
	საქონელი და მომსახურება	8,095,971
	სხვა ხარჯები	2,504,000
	არაფინანსური აქტივები	925,000
06 02 02	არჩევნებისათვის მოხელეთა მომზადება - გადამზადება	1,002,300
	ხარჯები	1,002,300
	შრომის ანაზღაურება	169,500
	საქონელი და მომსახურება	832,800

06 02 03	საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი	2,242,850
	ხარჯები	2,242,850
	სხვა ხარჯები	2,242,850
06 02 04	საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსება	7,619,000
	ხარჯები	7,619,000
	სხვა ხარჯები	7,619,000